

გ ა ზ ე თ ი ს უ ა ს ი

თფილისში და გა-	ბაუზავენელთა:
რეჟე ადგილებში: მაგზავნით	— — — 6 მან.
ერთის წლისა — 7 მან.	— — — 3 — 50 კ.
ნახევარის წლისა — 4 —	— — — 2 —
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — " — 75 კ.
მარტის თვისა — 1 —	— — — " — 15 კ.
ცალკე ერთის ნომრისა	— — — " —

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **განცხადება** სხვა და სხვა ენებზედ. უსაი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულე-ბრძვის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულეებით — ასოზე 1/2 კაპ.

„**დროება**“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

# დროება

ხალის-მოწყობა მიიღება: **ქვეყნის**

თფილისში — „**დროების**“ რედაქციის კანტორაში; მთლი-ქი თფილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ამატუნის სახლში. თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Въ Тифлисе. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.** ქუთაისში — **ბ. ქალანდარაშვილთან** (სასულიერო სასწავლე-ბელში) და **ლ. ლოლუასთან** მაგარინის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახ.

სტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანე მიიღოს თა-ვის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „**დროებაში**“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისაზე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა. თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილ სტატიას და ისე დაბეჭდს გაზეთში.

## ს ა კ მ ლ ი ტ ი კ მ დ ა ს ა ლ ი ტ მ რ ა ტ შ უ რ მ გ ა ზ ე თ ი.

წ ა ლ ი წ ა დ ი მ ე ა მ მ ს მ.

### უ ი ნ ა ა რ ს ი:

უ ც ხ ო ქ ე ე ყ ე ნ ე ბ ი: საფრანგეთი, — შვეიცარია. — **მ. მ. ის ა მ მ ე ბ ი.** — მიქტარ იუგოს სიტყვა. — **რ უ ს ე თ ი:** — ტ ე ვ რ ი ს გ უ ბ ე რ ნ ი რ დ ა მ. — („**დროების**“ კორესპონდენცია). — **წ ვ რ ი ლ ი ა მ ბ ე ბ ი.** — ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა. — **ს ა რ ე ვ ი.** — **შ ე ლ ტ ო ნ ი.** — **ს. წ ე კ ლ ა ძ ი ს ა.**

უწყებებით თაგის საკუთარი მმართველობა, სახელათ „ცენტრალური კომიტეტი“, რომელიც სრულებით არ ემორჩილება საფრანგეთის ახლანდელ მმართველობას და თავის განკარგულებას ახდენს. აჯანყებულებს მონარტრის უბანი სრულებით შეუკრავთ და გაუმგებრებით ბარიკადებით; იმათ 200,000 მეტი თოფები და 30 ზარბაზანი აქეთ თურმე. ამ არეულობას ისე შეუშინებია მმართველობა, რომ ნაციონალური გვარდიის უფროსს — **დენერალ მინუას** — გაუგზავნია წიგნი ბორდოს მმართველობისთვის, რომ რაც შეიძლება მალე ჯარი გამოგზავნეთ პარიჟში, თორემ ბელგიის, მონმარტრის და მილეტის უბნებში დიდი არეულობა არის და აქაური ჯარი არ კმარა ამ არეულობის დასამშვიდებლათ. (მინუას მაგიერათ ნაციონალური გვარდიის უფროსათ — **მურელ-დე-პალადინი** (ადრინდელი **ლუარის არმიის უფროსი**) დაუნიშნა).

— საფრანგეთის მმართველობა მერსალში გადასულა; მაშასადამე საფრანგეთის დედაქალაქათ, პარიჟის ნაცვლათ, დროებით მერსალი იქნება, რომელიც ოცდა ხუთ ვერსზეა პარიჟიდან. ნაციონალური კრების სხდომები იქაურ თეატრის ზალაში იქნება.

— ზოგიერთ გაზეთებში იყო დაბეჭდილი, რომ რომშიარა მოკვდა, მაგრამ ამის შემდეგ სხვა გაზეთებში იყო ნათქვამი, რომ ეს ამბავი ტყუილია; მართალია, ის ძალიან ავით იყო, მაგრამ სიკვდილით კი არ მომკვდარა. — სანამ ნემსების ჯარი პარიჟში იდგა, ამ

ქალაქს მკვდრის შეხედულობა ჰქონდა; ქუჩებში სრულიად ჩვეულებრივი მოძრაობა არ იყო, ყველა დუქნები, კაფეები და სასტუმროები დაკეტული იყო და თითქმის ყველა სახლებს ფანჯრები ფარდებით ჰქონდა ჩამოფარებული. მაგიდენ თუ არა ნემსები, პარიჟმა ისე თაგის ჩვეულებრივი სახე მიღო: გაზეთებმა ხელ-ახლავ დაიწყეს გამოხსენა, ქუჩები განათეს გაზის ფანრებით, მთელ ღამეს ხალხი მხიარული სახით დაიარბოდა ქუჩებში და ბულვარებზე. მაგრამ ყველას კი ეტყობოდა, რომ ნემსებზე გაბრაზებული იყვნენ.

— მარკო-დენ-ნოაილი, რომელიც რუსეთის სასახლესთან საფრანგეთის ელჩათ არის დანიშნული, დაბეჭდა ერთ ფრანკულ გაზეთში შემდეგი სტატია ახლანდელ საფრანგეთის მმართველობის მდგომარეობაზე: „საფრანგეთში დაფუძნდა რესპუბლიკა. რომელიმე მეფის დაჯდომა საფრანგეთის ტახტზე, უტყველია, ასტებს სხვა და სხვა პარტიებში არეულებას და გაუწყნარებელ განხეთქილებას. მართლაც იმით რომ საფრანგეთის ტახტზე რომელიმე დინასტიის პრინცს დასმენ, საქმე არ გაკეთდება: თვითონ ხალხს უნდა ჰქონდეს რწმუნება მონარხიული მმართველობისა და ემორჩილებოდეს იმას. საფრანგეთის ხალხს კი ამჟამად მხოლოდ რესპუბლიკა ჰსურს. შეიძლება დასვათ რომელიმე პირი საფრანგეთის ტახტზე, მაგრამ ის მთელი ხალხის მეფეთ კი არა, მხოლოდ ერთი პარტიის მეფეთ იქნება; ამისთანა მეფე ვმსგავსება უფსევო ხეს და ამის გამო

თაგის დღეში ვერ გასძლებს დიდ ხანს საფრანგეთში.“ ბოლოს მარკო-დენ-ნოაილი ურჩევს ფრანკულებს, თუ გინდათ გადაუხადოთ მერმანას ახლანდელი შეურაცხყოფა და ისეც დადგეთ სხვა ხალხების განათლების და პოლიტიკური პროგრესის წინამძღოლელათ, ნუ გააგდებთ ხელიდან რესპუბლიკურ დროშას. „მხოლოდ რესპუბლიკას შეუძლია, ამბობს მარკო, უშიშრათ შეხედოს თვლებში მერმანის მძლავრობას, მხოლოდ რესპუბლიკას შეუძლია დაამხოს მერმანია, მაგრამ თოფიარლის ძალით კი არა, განათლებისა და იდეის ძალით.“

— მმართველობამ მოსპო ექვსი რესპუბლიკური გაზეთი, რომელიც იმის მოწინააღმდეგეთ ითვლებოდნენ. ამ განკარგულებას მმართველობა იმით ხსნის, რომ „არ შეიძლება იქ თაგისუფალი მმართველობა დაფუძნდესო, სადაც გაზეთები აჯანყებას და კანონების წინააღმდეგობას ურჩევენ ხალხსაო. სანამ ამისთანა გაზეთები არ მოისპობიან, მანამ მშვიდობიანობა ვერ დამყარდება ჩვენშიო.“

— იმ არეულობისათვის, რომელიც შარშან 31 ოქტომბერს მოხდა პარიჟში, როდესაც, თუ ახლავს მკითხველს, შულ-ჩაგრი, ტროშუ და ზოგი სხვა მაშინდელი მმართველობის პირები დაატუსაღა აჯანყებულმა ხალხმა, სამხედრო სამართლის გადაწყვეტილებით ბლანკი, ჩრუანსი, ლევრო და ზოგი სხვები სიკვდილით უნდა დაისჯონ, როდესაც ისინი მმართველობას ჩაუყარდებოდა ხელში.

### უ ს ს მ კ ვ ე ე ნ ე ბ ი

ს ა შ რ ა ნ გ თ ი

საფრანგეთში რევოლიუცია არის. დღემდე ამ არეულობას დიდ მნიშვნელობას არ აძლევდნენ, მაგრამ დღევანდელი ტელეგრაფებიდან და ცნობებიდან შეიტყობს მკითხველი, რომ საქმე იქამდე მისულა, რომ პარიჟის არმიას თაგის სარდალი — **დიუკრო** — დაუხვრეტია. ამას გარდა **ლიონში**ც მომხდარა არეულობა და ქალაქის მერი და პრეფექტი დაუტუსალებიათ. მარსელშიც არეულობა არის. შევლა ამ არეულობების მიზეზი, როგორც ხშირათ გვითქვამს, ის არის, რომ რადიკალურ რესპუბლიკელებს არა ჰსურთ დემოკრილიონ ახლანდელ ბურჟუაზულ მმართველობას და იმ მოტივების პირობებს, რომელიც შეჰქარა ამ მმართველობამ და რომელიც ამცირებენ საფრანგეთის ღირსებას. პარიჟში ყველაზე უფრო აჯანყდენ ერთი ქალაქის უბნის, მონმარტრის, რესპუბლიკელები, რომელთაც მიიხრეს თაგისკენ ნაციონალური გვარდიისა და ზღვის უწყებებში მოსამსახურე სალდათები. ამათ გა-

### ფ ე ლ ტ ო ნ ი

როგორც აღხანა, ისეთი ჩაღხანა. — მნათობის პირველი წიგნი და ყველაზე საზოგადოების თანაუგრძობლობაზედ. — ჰყავის თუ არა ჩვენი მწიგნობრობა? — ჩვენი კითხვის ხალისი. — ლავირება უფ. ივანოვის ბიბლიოთეკაში. — ახალმოდური ქალები. — შედარება თფილისისა და სატახტო ქალაქებისა. — **მ. რ. სიტყვა ტაროსზედ.** —

დაუმჯდარი ხასიათის კაცის ერთი თვისგებათაგანი ის არის, რომ ერთს რასმე საგანზე დიდხანს სჯა, დიდხანს მოლაპარაკება და ღრმით ჩაფიქრება იმას არასოდეს არ შეუძლია; ამ ნაირი ხასიათის კაცი პეველასავით გადაფრინდება ხოლმე ერთი საგნიდან მეორეზე, მეორედამ მესამეზე, მესუთიდამ მეცხრამეტეზე და ამ ნაირათ ყველაფერს შეეხება, ყველაფერზე ჰურს თაგის აზრი გამოთქვას, — მაგრამ ნამდვილ კი, უბედურებაც ეს არის, ამ ნაირი ხტობით რიგანათ ვერც ერთ საგანს ვერ განიხილავს. და რადგან დამტკიცებულია, რომ განცალკევებული კაცის ცხოვრება და ხასიათი შეიძლება გადაიტანოს და შეადაროს კაცმა მთელი ხალხის ცხოვრებასა და ხასიათს, ამის გამო მე ვამბობ, რომ ზემოხსენებული თვისება შეიძლება მთელ ისეთ ხალხსაც მიეწეროს, რომელსაც დაუმჯდარი ხასიათი აქვს.

გვეგონოს, რომ ამით მე იმის თქმა მინდოდა, ვითომც ჩვენი დაუჯდომლობა წინსვლას ანუ პროგრესს ნიშნავდეს; არა, იქნება ჩვენ ერთსა და იმავე წრეში დეტრიალეზდებზრიალასავით, მაგრამ წინსვლა მანც არ შეგვიძლია და მოუსვენარნი ვართ; არ შეგვიძლია ერთ ალაგას გაჩერება და ერთ საგანზე სჯა. — სწორეთ ამ ნაირი მოუსვენრობის და დაუჯდომლობის ბეჭედი ესმება დღევანდელ ჩემ ფელტონს, რადგან ეს ფელტონი ჩემი ნაწარმოებია და თვითონ მე დაუმჯდარი ხასიათის ხალხის შვილი ვახლავარ... „როგორც აღხანა, ისეთი ჩაღხანაო.“

პირველი ადგილი ჩვენს ფელტონში მიესცეთ ლიტერატურულ ახალ ამბებს. თითქმის ერთი წლის მოლოდინის შემდეგ, გუშინ, 15 მარტს, როგორც იქნა გამოვიდა „მნათობის“ პირველი, იანერის, წიგნი. რა უნდა ვთქვათ ამ გარემოებაზე იმის მეტი, რომ ამ ნაირათ ჟურნალის გამოცემა შეუძლებელი საქმეა: საზოგადოებას თითქმის დაეიწყება, რომ ერთ დროს „მნათობი“ არსობდა ქვეყანაზე და ახლა იმან ისეც ამოჰყო თაგი. „მნათობის“ რედაქცია თაგის საქმეების ცუდათ წაყვანას (როგორც „**დროებისა**“) საზოგადოების თანაუგრძობლობას და გულგრილობას აბრალებს. შეიძლება ეს მართალია; მე არ ვამტკიცებ ამას, ამიტომ რომ ამაში, ჩემის აზრით, თვითონ ჩვენი ჟურნალებისა და გაზეთების უფერულობაც და საზოგადოების ლიტერატურული გემოს გაუგებლობაც არის, ერთის მხრით, დანაშავე; —

მაგრამ როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში რომელიმე ჟურნალისა ან გაზეთისა რედაქცია? შეტყველია, როცა იმას გამოეღვევა საშუალება გაზეთის, ანუ ჟურნალის გამოცემისა, ანებებს ამ საქმეს თაგის, მოსპობს თაგის ორგანს და ეცდება სხვა მხრით მოუტანოს ამავე საზოგადოებას სარგებლობა. თორემ მუდამ საზოგადოების ყვედრება, რომ ჩვენი საქმის წახდენა თქვენი ბრალიაო, მართალი გითხრათ, თანაგრძობას და მასთან ღონისძიებასაც ვერ შეჰმატებს ვერც ერთ რედაქციას. „**დროების**“ სტატიებს ამ საგანზე მხოლოდ ის მნიშვნელობა ჰქონდა, მგონია, რომ ანგარიში წარედგინა საზოგადოებისთვის — რა მდგომარეობაშია ჩვენი ლიტერატურა და რის მოთხოვნის უფლება აქვს საზოგადოებას. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ, თუ როდესმე „**დროების**“ გამოცემილებს შემოაკლდათ ყოველი ღონისძიება გაზეთის გამოცემისა, მაშინ ისინი სრულიად მოსპობას ამჯობიებენ, ვინემ „მნათობსავით“ იფორთხონ...“

„მნათობის“ პირველ წიგნში სხვათა შორის დაბეჭდილია უფ. მოსე შიქოძის გაცხარებული პასუხი „**დროების**“ სტატიებზე, რომელიც მარშან მისის იყენენ დაბეჭდილი; ჯერ მართლათაურით („სუსტი ჰქვის ამჟამად“) გაიგებს მკითხველი — რა კოლოზე უნდა იყოს ეს სტატია დაწერილი, ჩვენ ამ სტატიანე ვერაფერს ვერ ვიტყვით, რადგან ჯერ წაკითხვაც ვერ მოვასწრეთ. იმედია, თვითონ ის პირი, რომელსაც შეეხება სტატია, თუ საჭიროთ დაინახავს, გასცემს იმას პასუხსა. ამას გარდა ამავე

„მნათობის“ წიგნში პირველი მოქმედება უფ. შურცელაძის ტრაგედიისა — „**ღიღი მოურავი**“ — ჩვენი მეთექვსმეტე საუკუნის ცხოვრებლამ.

მკითხველმა საზოგადოებამ იცის, რომ ჩვენს ენაზე ორი ახალი წიგნი გამოვიდა, სახელათ „**პირველი**.“ ახლა ჩვენ შევიტყეთ, რომ უფ. მ. წერეთელს განუზრახავს გამოსცეს ახალი ჟურნალი ამავე სახელით. პირველ ორ წიგნსაც სრულიად ჟურნალური ხასიათი ჰქონდა; ამ ორი წიგნიდან ცხადათ დაინახავს მკითხველი, რომ, თუ „**პირველი**“ ჟურნალათ გადაქცა და არ შეცვალა თაგის ხასიათი, „მნათობსავით“ ცუდათ არ წაეა იმის საქმე და საზოგადოების თანაგრძობას დაინახურებს.

ჩვენ შევიტყეთ აგრეთვე, რომ პეტერბურღში ერთ ჩვენებურ ყმაწვილკაცს შეუდგენია პირველ-დასაწყისი სწავლის სახელმძღვანელო შკოლებისათვის და გამოცემას აპირებს, ძლიერ სასიამოვნო ამბავია. პეტერბურღიდანვე მივიღეთ ცნობა, რომ მეორე ჩვენთაგანი აპირებს იმ სათათრეთის პროვინციების ისტორიის დაწერას, რომელიც ერთ დროს საქართველოს ნაწილს შეადგენდენ და რომლებშიც ქართველობა ჯერაც არ აღზოკილა. ეს პირი აგროვებს თაგის შრომისთვის მასალებს და სთხოვს, ვსაც რა განიხა ამ პროვინციების შესახებ, „**დროების**“ რედაქციაში გამოგზავნონ, რომელიც იმას გადასცემს.

მართი შესხედით რომ მოიფიქროს კაცმა,



მოთქვა სიტყვა ბორდოს ნაციონალურ პრე-  
ბაში, რომლიდან ჩვენ გამოვკრებთ უფრო  
შესანიშნავ ადგილებს:

იმპერიაში არაფერ მოახდინა მშობლის-  
მკვლელობა: პირველად 1851 წელსა და მე-  
ორედ 1871 წელს. ცხრამეტი წლის განმავ-  
ლობაში საფრანგეთი, თავისდა სასიკცხი-  
ლოთ, ითმენდა იმპერატორის მმართველობა-  
სა. ამჟამად პრუსიის ზარბაზნების პირები  
პარიზზე მოშვერილი ჯერ საქმე არ გათავე-  
ბულა; პარიზი თავის ბედის წერას მოვლის  
და ჩვენ, იმის წარმომადგენლებმა, უნდა გან-  
ვიცხადოთ იმის სურვილი და ნება. პარიზმა  
გაკვირვა მთელი მერობა: ხუთი თვის განმა-  
ვლობაში იმან ისეთი პატივი და სახელი და-  
იმსახურა, რომელსაც შეუძლია 19 წლის გა-  
უპატიურება აღზარდოს. 300,000 ოჯახის მა-  
მები და შეილები იცვადნენ ამ ქალაქს; პა-  
რიზისათვის ისინი ითმენდნენ შიმშილს, სიცი-  
ვეს და ყოველგვარ წყალებს. რომსავეთ ამა-  
ყმა და სპარტასავეთ შეუპოვარმა პარიზმა მო-  
გვანდო ჩვენ თავის სურვილის გამოცხადება:  
პარიზს არ უნდა, რომ საფრანგეთის სიმთე-  
ლეს შეეხონ, რომ საფრანგეთს ჩამოერთვენ  
მიწები. იმას სიკვდილი ურჩევნია გაუპატიუ-  
რებასა... თუ ძალამ გაიმარჯვა და მორიგება  
მოხდა, მერობა დაიღუპება; მაშინ დარჩება  
ორი შიშის—მომგვრელი ნაცია: ერთი იმიტომ  
რომ იმან გაიმარჯვა და მეორე—იმიტომ რომ  
ის დამარცხებული დარჩა. ამ ორ სახელმწი-  
ფოში პირველში იქნება იმპერია, მონაობა,  
საღდათური განწყობილობა, პარლამენტი,  
რომლის წევრებს, თავისუფალი სიტყვის წარ-  
მოთქმისთვის, ჩასვენ ციხეში, იმას ექნება შე-  
კრული პირი და სინათლის მაგიერათ, სიბნე-  
ლე; მეორე ხალხს ექნება რესპუბლიკა, სინა-  
თლე, სინდიკატისა, სტამბისა, კრებებისა და სხვა  
ყოველგვარი თავისუფლება; ამ ხალხში შეი-  
ფარებს თავს ყველა, ვისაც კი ძალა და უსა-  
მართლოება სდევნის; და იმ დროს, როდესაც  
ბერმანია დესპოტიური კაცით დახურულ თავს  
ძირს დაღუნავს, საფრანგეთი დახურავს თავ-  
ზე წინ მძღოლოვანი ხალხის გვირგვინსა. რო-  
მელი ამ ხალხთაგანი უფრო ღირსი არის  
შებრალებისა? ორივენი. ბერმანიას შეუძლია  
ბედნიერათ ჩათვალოს თავის თავი, ამიტომ  
რომ იმან გაიმარჯვა და წაგვართვა მლხასი  
და ლოტარინგია. მაგრამ ორივე ეს პროვინ-  
ციები საფრანგეთს ეკუთვნის და ეს არაფერს  
არ დაზოგავს იმათთვის. ღღეს პრუსიამ გვა-  
ჯობა, მართალია; მაგრამ საფრანგეთის დამ-  
ცირება, იმის დედა-მიწის ზურგიდამ ამოხრც-  
ვა არაერთარ ძალას არ შეუძლია. მოვა დრო  
საფრანგეთის შეილები გაიგებენ ახლანდელ  
შურტაცყოფას; ისინი მოაგროვებენ საკმაო  
ძალას და ენერგიას, მოუყრიან თავს შეუპო-  
ვარ არმიას, დაუღალავათ იშრომებენ იმის-  
თვის, რომ გაიგონ მტრის ძალა და დაშარ-  
ცხონ ისა. მაშინ დაინახავთ თქვენ დიდებულ  
საფრანგეთს! მაშინ, თოვთა და განათლებით  
დაიარაღებული, წართმევს ის ნემსებს თავის  
მლხასსა და ლოტარინგიას, რეინს, მაინცსა  
და პენსს! მაშინ დაიძახებს საფრანგეთი: ახლა  
ჩემი დრო მოვიდა! მაშინის შემდეგ სიტყვებს  
ეტყვის ბერმანიას: „ბერმანიავ! ნუ თუ მე და  
შენ კიდევ მტრები ვართ? არა, მე შენი და  
ვარ. შეველა ხალხები შეადგენენ ერთ ხალხს,  
ერთ ძმობას! მიყენეთ მერობის შეერთებულ  
შტატებთ და ჩვენ დროშათ იყვეს თავისუფ-  
ლება. მე არ დამიწყენია, რომ შენ გამათავ-  
ისუფლე მე იმპერატორისაგან, ახლა მე მოე-  
დივარ და სამაგიერო უნდა გადაგიხადო!“

რადგანაც ამ წლიდან ერთმა კეთილის-მო-  
ყვარულმა პირმა უჩვენა იმათ სახსარი ერთი  
ისეთი საგნის გამოყენებისა, რომლითაც ისი-  
ნი წინეთ ძალიან ნაკლებათ სარგებლობდნენ;  
ამ წლიდან და ამ სახსრით ცოტათი შეიმსუ-  
ბუქეს პირველათ ამ გუბერნიის ხლებებმა ის  
მძიმე უღელი, რომელიც დიდის ხნიდან თა-  
ვისუფალს მოძრობას და ცხოვრების გაუმ-  
ჯობესობას უშლიდა იმათ. 1866-ს წელს და-  
არსდა ტვირის გუბერნიის ერთს სოფელში  
პირველი მეყველეებთ არტელი ანუ ამხანა-  
გობა; უფ. მერესჩაგინმა გამართა პირველი  
სამხანაგო ყველის ქარხანა, რომელიც ახლა,  
1871 წელში, ოცზე მეტია.

მე მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა აქ ამ მე-  
ყველეებთ არტელებზე, რომელთაც ჩემი თვა-  
ლით ვხედავ ამ ქამად; იმედი მაქვს, ეს საქმე,  
რომელსაც ისეთი საზოგადო მნიშვნელობა  
მიეცა რუსეთში, ჩვენთვისაც უინტერესო არ  
იქნება.  
ითოთ ამ მეყველეთ არტელს ან ამხანა-  
გობას შეადგენს თითო სოფელი, ანუ ორი-  
სამი ახლო-მახლო მდებარე, რომელთაც თი-  
თო ქარხანა აქვთ გამართული. თითოთ არ-  
ტელი ან როგორც შესდგება აქ ხოლომე: ესთქვათ  
ერთს სოფელს ასხია ასი მოსახლე; თა-  
ვადანხაური, სამღვდლო პირი და გლეხები;  
თითო მოსახლეს ყავს ორ-ორი ფური, მაშ  
სულ იქნება ორასი თავი. შეველა სოფლის  
მცხოვრებლები შეიკრიბებიან, ერთათ მოი-  
ლაპარაკებენ ქარხნის გახსნაზე, შემოიტანენ  
პირველათ საქრო ფულებს, იშოვნიან ყვე-  
ლის მკეთებელის ოსტატს და ამ ნაირათ შეა-  
დგენენ ერთ არტელს.

შოველ არტელის წევრს ღღეში თითო მონ-  
აწველი (მეორე მონაწველს ოჯახშივე ხმა-  
რობენ) ორის ფურისა ანუ დილის ანუ სა-  
ღამისი ქალებს თუ პატარა ყმაწვილებს მი-  
აქვთ ყველის ქარხანაში, სადაც საზოგადო  
ყველა გლეხების წიგნი და იმაში იწერება,  
თუ ვინ რამდენი რძე მოიტანა \*), აგრეთვე  
გლეხების წიგნი, რომელიც ყველას არ-  
ტელის წევრთაგანს თითო-თითო საკუთარი  
აქვთ.

ქარხანაში ახლად მოტანილი რძიდან ან იხ-  
დება ერბო ან იხარჩება ყველი \*\*); ორივე შე-  
მთხვევაში გამოხდილი ერბო და ყველიდგან  
ბერი წაქი რჩება, რომლითაც ღორებს, თუ  
ხბობს აპურებენ; ნამეტურ პირველისთვის  
საუცხოო სარჩოა, ასე რომ წაქით გამოპუ-  
რებულს ღორებს თითქმის ნახევარი რძის შა-  
მოსავლის ოდენა შამაქვთ. ქარხანაში დამ-  
ზადებული ერბო და ყველი იგზავნება პეტერ-  
ბურღში „მეყველეებთ ამხანაგობის დეპოში“,  
ან მალაზიაში, სადაც დატაცებით ყიდულო-  
ბენ როგორც ერბოს, აგრეთვე ყველსაც, რა-  
დგან ორივე საუკეთესო კეთდება. შოველს  
სამს თვეზე არტელის ყველა წევრები ანგა-  
რიშს ასწორებენ და ფულებს იღებენ თავის  
მალაზიად იმ წიგნებით, რომელშიაც იწერე-  
ბოდა ხოლომე რიცხვი თითოეული გლეხის  
მოტანილი რძისა. საზოგადო რიცხვი თითო  
ფურის შამოსავლისა წელიწადში აღის ოცი  
მანეთიდან ორმოცამდის ყველა ხარჯს გარდა.  
ქარხანაზე იხარჯება თვეში თითქმის ას მანა-  
თამდის: თუ ქარხანის ოსტატზე, თუ ჭურჭ-  
ლებზე და სხ.

ამ ნაირათ, იმ ორი ფურის რძით, რომ-  
ლითაც არტელამდი რუსეთის გლეხი თით-  
ქმის სრულებით ვერ სარგებლობდა,—არტე-  
ლის შემოღების შემდეგ, ახლა წლის სახელ-  
მწიფო და ნადელის ფულს იხდის და რძეც და  
კიდევ რამდენიმე ფულიც რჩება \*\*\*). ამის შე-  
მდეგ, როგორც არა თქვას კაცმა, რომ არტელი

ან ამხანაგობა დიდი საქმეა და როგორ არ  
არის გასაგები ის სიტყვები, რომელიც მე ხში-  
რათ მესმის აქაური გლეხებისაგან: „სული  
ჩაგვიდგა, ბატონო, ქარხანაში; ღმერთმა აღ-  
დგომილოს ჩვენი მერესჩაგინო!“

ღრომაც მოაწია, რომ ჩვენ ღირსს საქარ-  
ველოს გლეხებსაც ეშველოს რამ და იმათშიაც  
დაარსდეს რამე ამხანაგობა, ისინიც საქროებენ  
მძიმე ტვირთის შემსუბუქებას, თუ ვინმე ღეთი-  
ანი გამოჩნდება და უჩვენებს რამე წყაროს,  
რომლისგან შეეძლოს სახელმწიფო და ნადე-  
ლის ვალი მიანც გადაიხადოს, რომლის დაკმა-  
ყოფილება ეხლა ძალიან უჭირთ. ნუ დაგვაიწყე-  
დება, რომ გლეხების შრომა და ოფლი სა-  
ზოგადო ბანკია, რომლისაგან ყველანი სარგე-  
ბელს იღებენ, მაშასადამე უნდა ვეცადნეთ ეს  
ბანკი არ დაეცეს, თორემ სარგებელს ვერ მივი-  
ღებთ. რაღა გლეხებზე ვილაპარაკო! მგონი ჩვე-  
ნი მდიდრულ ცხოვრებას მიჩვეულნი მემამუ-  
ლეებიც საქროებენ ჩქარა მიშველებას, თორემ  
ხშირათ მათი მიწა-წყალიც ისყიდება სხვა და  
სხვა გვარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილე-  
ლად. ამ შემთხვევაში ჩვენს ახალგაზდა ქარ-  
თეელის შეიღოს, თუ რომ აქვს ნაპერწყალი  
თავის მამულის სიყვარული, მართებს მიხედოს  
თავის მოძმე საზოგადოებას და მის მდგომა-  
რობას და არა მარტოკა თავის თავს;  
ძალიან სასარგებლო იქნება, რომ იმან  
ამოუჩინოს თავის მოძმეს მისი მამულის უხ-  
ვი სიმდიდრე, იმ მამულის, რომელიც ეხლა  
კიტრის ფსათ იყიდება და რომელშიაც ეს ჩა-  
ფლული ბუნებითი სიმდიდრე მხოლოთ შე-  
მუშავებას, მხოლოთ კაცის ხელს, მოვლის,  
რომ ყველას უთვალავი სარგებლობა მოუ-  
ტანოს.

თუ რომ ახალ-გაზდა ქართველის შეილი  
არ მხედავს ზოგიერთი წრიდან გამოსულს  
ქართველებს, გამოვა მეურნეობის ასპარეზზე  
და ამ ნაირათ გახდება საზოგადოების სასარ-  
გებლო წევრად, მაშინ; უეჭველია, ჩვენს  
საზოგადოებას კეთილ-დღეობა მოვლის.

ნესტორ ახელდინი

26 თებერვ. 1871 წ.

სოფ. მდიმნოვო.

მრთს მენის გაზეთში სწერენ რომ, ცენ-  
ზორის კამიტეტის წება-რთვით, მისლის-ნაპი-  
რა მხარეში (პოლშაში) ისიყდებოა ერთი ბრო-  
შიურა ფრანკულენ ენაზე, სახელათ: „სლა-  
ვიანელის წერილი იმპერატორი ალექსანდრე  
II-სადამე“. ამ ბროშიურაში არის სჯა სლავი-  
ანური სახელმწიფოების საქმის გამართვაზე.  
პეტრონი ამბობს, რომ ყველა სლავიანურ  
სახელმწიფოებმა ერთი კავშირი, ანუ კონფე-  
დერაცია, უნდა შეადგინონ და ამ კავშირის  
გვეგმონათ (უფროსათ) რუსეთი უნდა იყოსო.  
რუსეთის პოლიტიკა მხოლოთ ამ ზარის ასრუ-  
ლებაში უნდა მდგომარეობდესო. ამისთვის  
საქროაო პეტრონი-მენგრიის მონარხის განა-  
წილება და ყველა სლავიანური ხალხების  
ავტონომია, ე. ი. ისეთი უფლების მიცემა,  
რომ ამ ხალხებს თვითონვე შეეძლოს განაგე-  
ბა თავიანთი შინაგანი საქმეებისა.

ამას წინეთაც იყო „ღრობაში“ მოყვანი-  
ლი ამბავი, რომ სასულიერო უწყებისთვისაც  
ისეთი სასამართლო წესდება, როგორც 1864  
წ. 20 ნომბერს საზოგადო დებულებათა. ახლა  
„პეტერბურლის უწყებებს“ ამის თობაზე უფ-  
რო დაწერილებითი ამბები გაუგონათ. ამ გა-  
ზეთს შეუტყვია, რომ სასულიერო უწყების-  
თვის დაწესებული იქნება: 1) სასულიერო  
რედაქციის დაწესება, რომელსაც ისეთი  
უფლება ექნება, როგორც მომრიგებელ მო-  
სამართლებს; 2) მპარხიული სასუ-  
ლიერო სასამართლო ოლქის სასამართლო-  
ებს და 3) შმალესი ინსტანცი, შეუწინდესს  
სინოდთან, რომელსაც ისეთი მნიშვნელობა  
იქნება, როგორც სასამართლო პალატას; აქ

განხილება კასაციები და აპელაციები ზემო-  
სსენებულ ორ სასამართლო წესდებაზე. შეველა ამ სასულიერო სასამართლოებსა  
ხელში იქნება, რასაკვირველია, მხოლოთ ისე-  
თი საქმეები, რომელთაც სასულიერო, ან სა-  
ეკლესიო ხასიათი ექნება; დანარჩენ საქმეებში  
სასულიერო წოდების პირები ისევ 1864 წლის  
20 ნომბერის დებულებას უნდა ემორჩილე-  
ბოდნენ.

„მმართველობის მოამბეში“ დაბეჭდილია,  
რომ ერთს ხარკის გუბერნიის თემობის  
კრებას გადაუწყვეტია—მმართველობასთან ვი-  
შუამდგომლოთ, რომ ჩვენ ქალაქში—იზი-  
უშში—გიმნაზია გახსნასო. თემობის წინა-  
დადებით, ამ გიმნაზიის გახსნათავთ, ახალი  
ბეგარა უნდა დაედვას ყოველ მემამულეს,  
თითო ქტევაზე ოთხ-ოთხი კაკიკი; ამას გარ-  
და სხვა შემოსავალიც იქნება. გიმნაზიასთან გა-  
იმართება კიდევ პედაგოგიური კურსები, სადაც  
სასოფლო შკოლებისთვის მასწავლებლები  
უნდა მოამზადონ.

„ნოვოროსიის უწყებებში“ სწერენ: „ჩვენ  
ენახეთ ორი პარტია ახალ-გამოწვეული რეკ-  
რუტებისა, რომელთაც მშობლები და ნათე-  
საეები თან მიჰყვებოდით. ისინი იმღეროდნენ,  
თუმცა ეტყობოდათ, რომ ეს სიმღერა სინა-  
რულის სიმღერა არ იყო. შესანიშნავია, რომ  
ყველა რეკრუტები დარწმუნებულნი იყენენ,  
რომ იმათ დიდი ხნის სამსახური არ მოუწ-  
დებოთ.“

ღონის მიწების ქალაქებში და სოფლებში  
აუარებელი მეწერმალები დაიარებიან თურმე;  
მაგრამ, როგორც ერთი კორესპონდენტი  
„ღონის უწყებებისა“ იწერება, ისინი მართლა  
ვაჭრობისათვის კი არ დაიარებიან; იმათი მიზანი  
ის არისო, რომ მოატყუონ ხალხი და სარწმუ-  
ნოება შეაცვლიენონო: უმეტესი ნაწილი  
იმათგანი რასკოლნიკები არიანო, და სხვა და  
სხვა სექტების სარწმუნოებას უქადაგებენ  
უბრალო ხალხსაო. ისინი ურიგებენ თურმე  
ხალხს სხვა და სხვა მანებელ საეკლესიო და  
საპოლიტიკო წიგნებს და ამნაირათ ჰსურთ  
შეაცდინონ ხალხიო.

— მმართველობის გამომარჩევიან, მთელ  
რუსეთში 300 სასოფლო ბანკი ითვლება,  
რომლიდან სახელმწიფო, სამეფო და ნაყმევი  
გლეხები სარგებლობენ. ამ ბანკებში რამო-  
დენიმე მილიონი ფული ტრიალებს. მს სა-  
სოფლო ბანკები მხოლოთ 21 გუბერნიაშია  
გამართული, დანარჩენში ჯერ არ არის. სამ-  
ხრეთ რუსეთში, შირიში, არცერთი სასოფ-  
ლო ბანკი არ მოიძევა თურმე და ამის გამო  
ხერსონის ბანკს გამოუცხადებია, რომ ყოველ  
სოფლის საზოგადოებას მიეცემა ჩვენგან ექვს-  
ექვსი ათასი მანეთი, სასოფლო ბანკების გასა-  
ხსნელათ, თუ ეს სოფლის საზოგადოებები თავ-  
დებობას იკისრებენო.

რიგში შემდგარა საზოგადოება, რომელ-  
საც ჰსურს სისაწყლე მოსპოს ამ ქალაქში.  
საზოგადოების მოქმედება აი რაში იქნება: 1)  
უნდა უშოვნოს საქმელი, ტანსაცმელი და  
სადგომი იმსაწყლებს, რომელნიც თავის შრო-  
მით ვერ იშოვნიან სარჩოს; 2) უნდა დაეხმაროს  
ღარიბებს მუშაობის შოვნაში და იმათ ნაწარ-  
მოების გასაღებაში; 3) უნდა მიხედონ და  
გამოზარდონ ღარიბების შეილები; 4) მუქათათ  
მისცემენ ღირებებს წამლებს; 5) უნდა გამარ-  
თონ ღარიბების ქალებისა და ვაჟებისთვის უფა-  
სო შკოლები და უძლოური მოხუცებულებისთვის  
ისეთი სახლები, სადაც იმათ თავის შეფარვა  
შეეძლოსო.

შენიდან არის 27 თებ. (11 მარტის) ტელე-  
გრამა, რომელიც გეაცნობებს, რომ ლონ-  
დონის კონფერანციას მოუსპია 1856 წლ.  
პარიზის ტრაქტატი (შავი ზღვის თობაზე)

### რუსეთი

#### ბერმანის ბუბარნიდა

(„ღრობის“ კორესპონდენცია)

ბერმანის გუბერნიის ზოგიერთ სოფლებს თა-  
ვის ღღეში არ დაეიწყებოდა 1866 წელი,

\*) აქაური ფურები თითო წველაზე შეიდიან ათ  
გირვანქა რძემდის იწველიან.  
\*\*) თითქმის ყველა აქაურ ქარხნებში ამ ქამად ერ-  
ბო იხდება მარტო დოღმტინიური, ყველი კი შევი-  
ცარიული და ლოლანდიული.  
\*\*\*) აქაურ გლეხს წლის სახელმწიფო და ნადელის  
ფული თითო ხელს ოც მანეთამდის უწევს გადასახადო.

და საქმე იმ მდგომარეობაში დაჩინდა რა მდგომარეობაშია 1854 წლამდე იყოფებოდა.

მრთს სალდათს გაუმართავს შიასის გუბერნიის შესანიშნავი სასოფლო შკოლა. შესანიშნავი ეს შკოლა იმითია, რომ შაგირდები სწავლის ფასს არაფერს არ იძლევიან და არც საკუთარი სახლია ამ შკოლისათვის: მის ნაცვლათ ყოველი შაგირდი ევლდებულება რამდონსამე დღეს დაიყენოს და არჩინოს თავისას და თავის ხარჯით მასწავლებელიც და შაგირდებიც. ასე რომ წლის განმავლობაში შკოლა თითოეულ შაგირდის დედ-მამასთან დაჰყოფს რამოდენსამე დღეს. ამ შკოლას დაარქვეს სახელათ—მოდრაეი შკოლა.

### გიზლიოგრაფია

თფილისის გუბერნიის ასაწარი მასალების კრება, გამოცემული თფილისის გუბერნიის კანცელარისაგან, მისი მმართველის, პ. ზ. სერგანის რედაქციით.

„Сборникъ матеріаловъ для описанія Тифлискаго Губерніи, издаваемый при канцеляріи Тифлискаго Губернатора, подъ редакціею правителя оной К. Л. Зиссермана.“ Тифлисъ, Типографія Дубелира, 1870).

ის წიგნი, რომლის სახელი ჩვენ ზეგითავა ვწერეთ, გამოვიდა ამ დღეებში თფილისში; ეს წიგნი პირველი ტომის პირველი ნაწილია: ეს ნიშნავს, რომ შემდეგში პირველი ტომის დასრულების იმედიც უნდა გექონდეს, და მეორე და იქნება მესამე ტომაც უნდა მოველოდეთ...

პირველ ნაწილში დაბეჭდილია „მოკლე ისტორიული განხილვა თფილისის გუბერნიის ადმინისტრაციული შედგენისა,“ რომელშიც დაწერილებით აწერილია ოფიციალური ცერემონიები საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს, და ორივე სიტყვა ნათქვამი ზოგიერთ ცელილებებზე, რომელნიც მას შემდეგ უმთავრესი მმართველობის პირებში მოხდენ. — იმედა, რომ შემდეგ წიგნში უფრო დაწერილებით აწერილი იქნება ის ცელილებები, რომელნიც თითონ თფილისის გუბერნიის შეეხებოდენ, განსაკუთრებით იმ წესში, რომლითაც ის იმართებოდა დღემდე...

ამ სტატიას მოსდევს ზოგიერთი რიცხვები, რომლითაც შესაძლებელი უნდა ყოფილიყო გავება, თუ რამდენი მცხოვრებლები, პირუტყვი, რა სიდიდის მოსავალი, რამდენი დანაშაულობა და სხვ. იყო და არის თფილისის გუბერნიისში. მაგრამ, საუბედუროთ, წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ ეს რიცხვები სრულიად უსათუოთ არ უნდა ჩაითვალოს... ამას მოყვება უფ. ზაგურსკის თხზულება: „გეოგრაფიული და ეტნოგრაფიული აწერა თფილისის გუბერნიისა“ (ესე იგი თფილისის გუბერნიის მიწის და ხალხის აწერა). ამ თხზულებაში გადმოწერილია ძველად დაწერილებული კარტიდან უმთავრესი მთები და მდინარეები; მათი მდებარეობა და დენა. მანარჩენი კი, განსაკუთრებით ხალხის აწერა, უეჭველია, მეორე წიგნში იქნება დაბეჭდილი.

უფ. ზაგურსკის სტატიას მოსდევს თფილისის გუბერნიის უმთავრესი გზების აწერა, შედგენილი აგრეთვე იმავე დაწერილებული კარტის შემწეობით... შემდეგ მოდის სტატისტიკური აწერა, დამყარებული იმ რიცხვებზე, რომელნიც წინასიტყვაობას ეჭვეულათ გამოყავს. სამაგიეროთ, მეტის მეტათ შესანიშნავია ორი თხზულება, რომელნიც ამ სტატიას მოსდევს: პირველი, — მადნეულობის ძებნის და ქარხნების აწერა, და მეორე — მასალები ყმების განთავისუფლების აწერისთვის თფილისის გუბერნიისში. მადნეულობის საქმე ჩვენში ისეთი შესანიშნავი და სასარგებლო საგანია, რომ ჩვენ შემდგომში დაწერილებით

ეთამბობთ მკითხველებს ზემოხსენებული სტატიის შინაარსს. რაც ყმების განთავისუფლების საქმეს შეეხება, უნდა ვთქვათ, რომ ეს ის მასალებია, რომელნიც უწინ დაუბეჭდეთ ყმების განთავისუფლებელ კომიტეტისთვის. ამ მასალებს ბევრჯერ მიაქცევს ყურადღებას ჩვენი ქვეყნის მომავალი ისტორიკოსი; მაგრამ ჩვენ იმაზე ჯერ-ჯერობით არა გვეთქმის რა, იმის მეტი, რომ ეს მასალები მეტისმეტათ ძვირფასი და შესანიშნავი რამ არიან, და მთელ „კრებაში“ ამის მეტი სხეაც რომ არა იყოს რა, მის გამოცემლებს მაინც დიდი მადლობა ეთქმის ჩვენი მხრით.

რუსულ ენაზე გამოვიდა ამ ხანებში ერთი ფრანკულული ენიდამ უფ. ანტონოვიჩისგან ნათარგმნი წიგნი, სახელათ მმორკა იმპერიის ისტორია — ტაქსილ ღელორისა. ამ წიგნში ცხადათ არის ნაჩვენები თუ რა იყო იმის მიზეზი, რომ ეს მეორე (ე. ი. ნაპოლეონ მესამესაგან გაჩენილი) იმპერია ასე უეცრათ დაეცა და მოისპო. მეორე იმპერია, როგორც პირველიც, ღელორის აზრით, დაფუძნებული იყო ლალატობაზე, და ბერეჟუნიის დამორჩილებაზე და ამის გამო თავიდაც მიხედებოდა კაცი, რომ ის აღრე თუ გვიან თავის თავათაც უნდა დარღვეულიყო. პირველი ნაპოლეონის დროს ცოტათი მაინც ღირსეულ კაცებს ეძლეოდათ პატივი და თანამდებობა; ამ ნაპოლეონის ხელში ურიგდებოდა ყველა უნიკო და მოღალატე კაცება. გარყენა იყო პირველი ნაპოლეონის მმართველობის საფუძველი; მესამე ნაპოლეონის ხელში კი მთელი ოფიციალური საფრანგეთი გარყენილი იყო. მეორე იმპერიის მმართველობამ მხოლოთ უნიკოები გაჩინა და როდესაც საფრანგეთს გაჭირებაში კაცები მოუნდა, იმას დაუხვდა მხოლოთ მოღალატეები; და ამნაირათ საფრანგეთში მიიღო ღირსეული სახეული თავის ბედის გულ-გრილათ ყურებისათვის. მაგრამ ამ გარყენილს ფრანკულებს გარდა, საფრანგეთში პატიოსანი, და გონიერი პირებიც იყვნენ, რომელნიც არ დემორჩილენ მეორე იმპერიის უღელსა. პირველი ნაპოლეონიც შეუბრალებლათ სდევნიდა იმისთანა ხალხს, რომელიც არ ემორჩილებოდა იმის ზნეობით დამცემელ მმართველობასა, მაგრამ ისეთი სდევნა და შეუბრალებლობა ამ საფრანგეთის საუკეთესო შეილებსა, როგორც გამოიჩინა ნაპოლეონ მესამემ, მაგონი, კაცს არ გაუგონია: ამათ ადგებდენ თავიანთ სამშობლოდამ, აგზავნიდენ ქაენაში და აღრჩობდენ შეიანის დამაპალ ჰაერში. „ის დიდებული, ამბობს ღელორი, და მთელი ქვეყნის აზრებისა და განათლების სატახტო ქალქი (პარიჟი), რომელსაც წაართვეს და დაუღუპეს საუკეთესო სწავლულები, პოეტები, ორატორები, თავისუფალი მწერლები და პატიოსანი სახელმწიფო საქმეების მცოდნე კაცები, კინალამ ისეთ სასტუმროთ არ გადიქა, რომელშიაც დროს ატარებდენ მხოლოთ მთელი ქვეყნის მდიდარი და გარყენილი არისტოკრატები.“

ამ წიგნში ბევრი საინტერესო ცნობებია მეორე იმპერიის შესახებ; სხვათა შორის პარიზის ომზე და ახლანდელ ომზედაც, რომლის ატეხას იმავე ნაპოლეონ III — ებრალებს, რომელსაც სურდა გამოარჯეების შემდეგ უფრო დაფუძნებულიყო საფრანგეთის ტახტზე და შინაგანი საქმეებისთვის აეცილებინა ფრანკულების თვალა; მაგრამ მის ნაცვლათ, პრუსიის არმიის წყლობით, თეითანვე თავის თავი წააგო.

ამ წიგნში ბევრი საინტერესო ცნობებია მეორე იმპერიის შესახებ; სხვათა შორის პარიზის ომზე და ახლანდელ ომზედაც, რომლის ატეხას იმავე ნაპოლეონ III — ებრალებს, რომელსაც სურდა გამოარჯეების შემდეგ უფრო დაფუძნებულიყო საფრანგეთის ტახტზე და შინაგანი საქმეებისთვის აეცილებინა ფრანკულების თვალა; მაგრამ მის ნაცვლათ, პრუსიის არმიის წყლობით, თეითანვე თავის თავი წააგო.

ამ კვირის ტელეგრაფი პარიჟი, 12 მარტს არეულობა თანდათან მატულობს; ინსურგენტებმა დაიქრეს მენსენის ფორტი; ბირჟა და ლუქენბი დაკეტილია. — ბერნი დამ. ლიონში რევოლუციაა. პარიჟი, 13 მარტს. ღენერალი ლიუკრო თავის სალდათებმა დახვრიტეს. — შენევი დამ. ლიონის აჯანყებულეებმა გამართეს ბატარეები და მერი და პრეფექტი დატუსადეს. — მარსელში რევოლუცია არის. პარიჟი, 15 მარტს. როგორც სჩანს, ხალხი დაწყნარდა და არეულობა თავდება.

რეს მენსენის ფორტი; ბირჟა და ლუქენბი დაკეტილია. — ბერნი დამ. ლიონში რევოლუციაა. პარიჟი, 13 მარტს. ღენერალი ლიუკრო თავის სალდათებმა დახვრიტეს. — შენევი დამ. ლიონის აჯანყებულეებმა გამართეს ბატარეები და მერი და პრეფექტი დატუსადეს. — მარსელში რევოლუცია არის. პარიჟი, 15 მარტს. როგორც სჩანს, ხალხი დაწყნარდა და არეულობა თავდება.

### ნაკრები

მკითხველს ესმობა, რომ შარშან ერთი ინგლისელი და იმის გუვერნანკა დაენობლენ იმაზე, რომ გუვერნანკა ერთ მილიონ ფრანკის მარკას მოუყრის თავს. ნიზოღვის პირობით, თუ ეს ქალი მოჰკრებს ამღონ მარკებს, მაშინ ინგლისელმა სამუდამოთ უნდა გაუჩინოს იმას ოცდა ხუთი მან. პენსია; თუ არა და ქალი ათი წელიწადი მუქდად უნდა ზრდიდეს ინგლისელის შეილებს. საზოგადოებამ საშინელი მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში: ერთი მოსკოველი უცხადებს ახლა ამ ქალს გაუთუბში, შერი აღრესი შემატყობინეო, ოცი ათასი მარკა უნდა გადმოქცეო. ბევრი სხეაც უყრის თურმე თავს მოსკოვში და პეტერბურღში მარკებს ამ ქალისთვის. პეტერბურღში და მოსკოვში კი არა, ჩვენს თფილისში უნდა ნახოთ, როგორ აგროვებენ ნახარ ფრანკის მარკებს ქალები და ყმაწვილი კაცები: ვისაც არ შეეხდები, ყველა მარკებს გობჯეს და თვალსაყრთ აგროვებს. აი, სად სჩანს ჩვენი საზოგადოების მზრუმელობა საქვეყნო საქმეებზე... აბა ეცადეთ და რომელიმე შკოლისათვის ან გადამწერი სოფლისათვის აგროვეთ თითო კოპეიკი.. რამდონს მოაგროვებთ, ენახოთ...

მნიანობის გამო, თითქმის ნახევარ საფრანგეთში არ შეუშუშებიათ მინდერები და ყანები, რადგან არც თესლი მოეძედათ და არც მუშები, რომელნიც სამართათ იყვნენ გაწვეულნი. ამის გამო, შემდეგში საფრანგეთში დიდ შიმშილობას მოვიღან. მაგრამ უცხო ქვეყნებშიც ცოტ-ცოტა შემწეობას აძლევენ ფრანკულის სოფლის ხალხს; მაგ. ინგლისში შესდგა საზოგადოება, რომელიც პურს და ხორბალს აგზავნის საფრანგეთში ღარიბი ხალხის დასარჩებლათ; ამისთანა საზოგადოება შემდგარა ამერიკის შეერთებულ შტატებშიაც, სადაც თვითონ მმართველობას მიუღია ამ საქმეში მონაწილეობა და, როგორც ამბობენ, რამდონიმე ხომალდ ხორბალს გზავნის თურმე საფრანგეთში.

ამ დღეებში მოკვდა ბორღოში სტრასბურღის მერი (ლუბერნატორი). იმის დასაფლავებაზე მამეტამ წარმოხატვა სიტყვა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ დღეის შემდეგ საფრანგეთის პოლიტიკა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ როგორმე მღზასი ისევ უქან დიპლომატია.

ზოგიერთ ნემეცურ გაზეთებში სწერენ, რომ ბერმანიის ჯარს ახალი თოფები უნდა დაურიდესო; იმათი აზრით, ღრეხეს სისტემის თოფი, რომელიც რეაჯერ და ათჯერ ვარდება მინუტში, ისე ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას (ე. ი. კაცების კვლას), როგორც მარტინის სისტემის თოფი, რომელსაც ერთ მინუტში ოცდა სამი კაცის მოკვლა შეუძლია, რადგან ოცდასამი ჯერ ვარდება ამ ხანის განმავლობაში. ამ უქანსკენელი სისტემის თოფები შემოუღიათ ახლა ინგლისის და შეიქარის არმიებში.

მეხანიზმს. ამ საათის გამართვისთვის უბედური ექსპერიმენტი მუშაობდა თურმე. რედაქტორი ს. მისნი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.

მდესაში მოკვდა ამას წინეთ ერთი ვიდაც მოსამსახურე კაცი (ლაქია), სახელათ ჩებურნიკი, რომელსაც ექვსასი მანეთი, ოფლოთ მოგროვილი ფული, დარჩა. ამ ფულეზიამ ჩებურნიკიმ სამასი მანეთი უანდერძა სასოფლო შკოლას, რომელიც იმის სოფელში არის გამართული და დანარჩენი სამასი მდესის (ნოვოროსისი) უნივერსიტეტის ღარიბ სტუდენტებს.

როგორი სიძულვილი დაბადებულა ნემეცებსა და ფრანკულეებში შემდეგი მაგალითები გვიმტკიცებენ: შევლა პარიჟის სახლის პატრონებმა პირი შეპკრეს, რომ არც ერთ ნემეცს სახლი არ მიეპირავათო. ამის გამო იმ გამოცხადებებზე, რომელსაც სახლის კედელს მიაკრუნ ხოლმე — ეს სახლი ქირავდებაო, — ყველგან დამატებული შემდეგი სიტყვები: „ნემეცს სახლი არ მიქირავდება.“ მატრებმა აღუთქვეს, ერთმანეთს ნემეცს არაფერი მიეუიღათო, რადგან იმათ გავცატრეც ომში და უმეველია ჩვენივე ფულეზით იგატრებნო.

რამდონსამე ნემეცს გაესნათ, მორიგების შემდეგ, პარიჟში თავის ლუქენბი, მაგრამ ხალხი დაცემოდა ამ ლუქენბს და ძალით დაეკეტა. მუხაშიაც ვერ დაირბიან ნემეცები უშირათ: ამას წინეთ ერთ ვიდაც ავსტრიელ ნემეცს დასეოდნენ ქუჩაში პარიჟის პატარა ბიჭები და ცემას უპირებდენ. საწყალმა ნემეცმა ერთი ოინი მოიგონა და იმით ძლიეს იპატია თავი: დასწერა უეცრათ პატარა ქალაღზე: „ავსტრიელი ვარო“ და მიიკრა ეს ქალაღი მლაპაზე. ამის შემდეგ იმისთვის კაცს ხელი არ უხლია.

### გიზლიოგრაფიული განცხადება

მელიქიშვილისა და კამბ. სტამბაში იბეჭდება „სამარტოვლო“ (ისტორიული მიმოხილვა), თხზულება დიმიტრი ბაქრაძისა, პირველი რეველი. ამ რეველს შეადგენს შემდეგი ხუთი თავი: I. საზოგადო მიმოხილვა. — შეველეს ქვეყნის ისტორიით ირიცხვიან გეოლოგია და ენები. — მნებთ ვიცით, რომ კაცობრიობის წინაპარი გაჩენილან სამოლო-აზიაში და იქილამ გავრცელებულან ქვეყნის პირზე. — სულ ძველად მჭიდროდ დამყარბულს საზოგადოებას ვბოულობთ შინიკაში და მეკიბტეში. II. მცირე-აზია. — რა მნიშვნელობა აქვს მცირე-აზიას ჩვენის ისტორიისთვის. — სულ ძველად რა და რა ტომები დასახლებულან მცირე-აზიაში. — მოკლე ცნობა ამ ტომებზე. — ჰეროდოტეს სიტყვით ჩვენი მხარე. — ძალხი-დელნი. III. ძველ-აზია. — იმისი გეოლოგიური ისტორია. — სხვა და სხვა თქმულება წარღნაზე. — მს თქმულება რას გვიმტკიცებს. — საილამ წარმოსდგა ლექსი ძველ-აზია. — ამ ლექსის ისტორია. IV. ბერძნების კოლონიები შივის-ზღვის პირად. — სტრამონი. — როგორ გამოგვიხატავს სტრამონი ძველ-აზიის ადგილებს და ტომებს. — სტრამონის იბერია და ალბანია. — მენოფონტეს სურათით მესხეთი. V. შეველეს უცხო-ტომთ კვალი ძველ-აზიაში. — ამ კვალს ვბოულობთ ენებში, სხვა და სხვა გეოგრაფიულს სახელ-წოდებაში, ზნეობაში და ყო-ფაცხოვრებაში.

გიზლიოგრაფიული ცნობა სიტყვანი და მოკლვაპანი, თქმული იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ, დაბეჭდილი მეორეს გამოცემით. რომელი არის შეესებული 73 ახლითაქაღებითა, ისეიდებიან: თფილისში, სასუფლოიერო სემინარიაში ი. ზოგებაშველისას, და ალადათოვის წიგნების მალაზიაში, მუთათისში — თეით ეპისკოპოსის სახლში. შასი-გზევიკიარისა სქელ ქალაღზედ დაბეჭდილის ოარი მანეთი, თხელზედ — მანეთ-ნემეცარი.